

გაკვეთილი 12

ფინანსურ რესურსებზე

ხელმისაწვდომობა

ფინანსური ანალიზი

ფინანსური ანალიზის მიზნები

ფინანსური ანალიზის მიზანია ფირმის ძლიერი და სუსტი მხარეების აღმოჩენა. ფინანსური ანალიზისთვის გამოიყენება ფინანსური კოეფიციენტები, რომლის დანიშნულებაცაა ფინანსური ინფორმაციის გადაქცევა ისე, რომ შესაძლებელი იყოს ერთი ფირმის შედარება ან კიდევ შესაძლებელი იყოს ფირმის არსებული მდგომარეობის შედარება წინა პერიოდზე. არსებობს ფინანსური კოეფიციენტების 4 ჯგუფი.

- ლიკვიდურობის კოეფიციენტები
- მომგებიანობის კოეფიციენტები
- ბრუნვის კოეფიციენტები
- ფინანსური კოეფიციენტები

1. ლიკვიდურობის კოეფიციენტები-ზომავს რამდენად კარგად ხვდება ფირმა მის მოკლევადიან ვალდებულებებს. ლიკვიდურობის კოეფიციენტებია: მიმდინარე და სწრაფი კოეფიციენტი.

- 1.1. მიმდინარე კოეფიციენტი=მიმდინარე აქტივები/მიმდინარე ვალდებულებებთან ≥ 1
- 1.2. სწრაფი კოეფიციენტი= მიმდინარე აქტივები-სასაქონლო მარაგები / მიმდინარე ვალდებულებებთან ≥ 0.8

2. მომგებიანობის კოეფიციენტები- ზომავს რამდენად ეფექტურად იყენებს კომპანია რესურსებს მოგების მისაღებად და რა პროცენტული ამონაგები აქვს კომპანიას ჩადებულ კაპიტალზე მომგებიანობის კოეფიციენტი(ROE)= მოგება/კაპიტალთან

3. ბრუნვის კოეფიციენტები- ზომავს რამდენად ეფექტიანად ხდება გაყიდვების ფულად გადაქცევა, რამდენად სწრაფად ხდება მარაგების (საქონლის) ფულად გადაქცევა. ბრუნვის კოეფიციენტებია: მარაგების ბრუნვადობის და დებიტორული დავალიანების ბრუნვის კოეფიციენტი.

- 3.1. მარაგების ბრუნვადობა (დღეებში)=(მარაგები/რეალიზებული პრედუქციის თვითღირებულება) $\times 365$
- 3.2. დებიტორების ბრუნვადობა (დღეებში)=(დებიტორები/გაყიდვებთან) $\times 365$

4. ფინანსური კოეფიციენტი (სესხის მომსახურების კოეფიციენტი)-ზომავს თუ როგორ ართმევს კომპანია თავს სესხის გადახდას.

სესხის მომსახურების კოეფიციენტი=საოპერაციო მოგება/ანუიტეტიით გადასახდელი შენატანი >1.1

პრაქტიკული სამუშაოები

1. რა ტიპის სესხს აიღებდით?

სამშენებლო კომპანიას ესაჭიროება სესხი დაკვეთის დასრულებისათვის. კომპანია მშენებლობას დაასრულებს 3 თვის ვადაში, რის შემდეგაც სრულად მიიღებს დამკვეთისგან თანხას. შეარჩიეთ სესხის ტიპი, რომელიც შეიძლება მოითხოვოთ ბანკისგან:

- ა) მოკლევადიანი (1 თვიანი) ოვერდრაფტი;
- ბ) 12 თვიანი სესხი, ყოველთვიური თანაბარი დაფარვით
- გ) 3 თვიანი სესხი, ძირის და %-ის პერიოდის ბოლოს დაფარვით

ვარიანტების განხილვა.

- ა) მოკლევადიან ოვერდრაფტს კომპანია ვერ დაფარავს, ვინაიდან შესრულებული საქმიანობის საფასურს მხოლოდ 3 თვის შემდეგ მიიღებს.
- ბ) 12 თვიანი სესხი ყოველთვიური თანაბარი გადახდით კომპანიისთვის მოუხერხებელია, ვინაიდან 3 თვე კომპანია ვერ შეძლებს სესხის გადახდას, ასევე 3 თვეში კომპანიას მთლიანად ჩაერიცხება სესხის დასაფარი თანხა. ასე, რომ 12 თვიანი სესხის სწიროება არ არსებობს.

სწორი ვარიანტია გ)

2. რა ტიპის სესხს აიღებდით?

თქვენს გაქვთ სავაჭრო ორგანიზაცია, რომელსაც ტენდერი აქვს მოგებული სახელმწიფო ობიექტების პროდუქტებით მომარაგებაზე. თვეში დაახლოებით 20,000 ლარის ღირებულების პროდუქტს იძენთ. ობიექტები პროდუქტის ღირებულებას გირიცხავენ ყოველი თვის ბოლოს. საქონელს თქვენ ღებულობთ 1 თვიანი კონსიგნაციით. თქვენ ქირაობთ სასაწყობო ფართს თვეში 200 ლარად. ობიექტების მოსამარაგებლად თქვენ ყოველთვიურად ქირაობთ სატვირთო მანქანას, რაშიც ქირის სახით იხდით 500 ლარს. სატვირთო მანქანის მეპატრონე გთავაზობთ სატვირთოს 20,000 ლარად. ერთიანად გადახდის შემთხვევაში ის გთავაზობთ 1000 ლარიან ფასდაკლებას. თქვენი ყოველთვიური წმინდა მოგება 2000 ლარია.

კომპანია, რომელიც საქონელს კონსიგნაციით გაწვდით

ნაღდი ანგარიშსწორების შემთხვევაში გთავაზობთ 1,5 %-იან ფასდაკლებას, რაც საშუალოდ თვეში 300 ლარის ეკონომიას გიკეთებთ. თქვენ გაქვთ წინასწარი მოლაპარაკება ბანკში და იცით რომ თქვენ გაქვთ ბანკიდან 20 000 ლარის სესხით სარგებლობის შანსი.

რა ტიპის კრედიტით ისარგებლებდით? (სესხის სარგებელი წლიური 12 %)

- ა) კრედიტი საქონლის შესაძენად
- ბ) კრედიტი მანქანის შესაძენად

გ) კრედიტი საწყობის შესაძენად

ვარიანტების განხილვა

- ა) საქონლის შესაძენად აღებული სესხით რა ეკონომია გააკეთდება? საქონლის ნაღდი ანგარიშსწორებით შეძენის შემთხვევაში თქვენ მიიღებთ 300 ლარიან ფასდაკლებას. სესხის % ყოველთვიურად იქნება 200 ლარი. $300 \text{ ლარი} - 200 \text{ ლარი} = 100 \text{ ლარი}$. ანუ თქვენ გააკეთებთ 100 ლარის ეკონომიას თვეში
- ბ) მანქანის შეძენის შემთხვევაში თქვენ აღარ მოგიწევთ ქირის-თვეში 500 ლარი გადახდა. სესხის % თვეში 200 ლარია. $500 \text{ ლარი} - 200 \text{ ლარი} = 300 \text{ ლარი}$. ან თქვენ თვეში 300 ლარის ეკონომიას გააკეთებთ. დამატებით თქვენ მიიღებთ 1000 ლარიან ფასდაკლებას.
- გ) საწყობის შესაძენად აღებული სესხით თქვენ დაზოგავთ იჯარის თანხას თვეში 200 ლარს. სესხის % თვეში 200 ლარია. ანუ საწყობის შესაძენად სესხის აღებით თქვენ ეკონომიას ვერ აკეთებთ

სწორი პასუხია ვარიანტ ბ)

3. დაალაგეთ ბალანსის მუხლების მიხედვით

1. სატრანსპორტო საშუალება	1000	ლარი
2. შენობა-ნაგებობა	2000	ლარი
3. მარაგები	2000	ლარი
4. ბანკის სესხი	2000	ლარი
5. ფული სალაროში	1000	ლარი
6. სასაქონლო კრედიტი	1000	ლარი
7. საკუთარი კაპიტალი	3000	ლარი

სწორი ვარიანტი

აქტივები		ვალდებულება/კაპიტალი	
სატრანსპორტო საშუალება	1000	ბანკის სესხი	2000
შენობა-ნაგებობა	2000	სასაქონლო კრედიტი	1000
მარაგები	2000	საკუთარი კაპიტალი	3000
ფული სალაროში	1000		
ბალანსი	6 000	ბალანსი	6 000

4. შეადგინეთ ბალანსი, მოგება-ზარალი და ფულადი ნაკადების უწყისი. გამოთვალეთ ფინანსური კოეფიციენტები. ასევე თქვენი კომენტარები

შპს “საბა”-ს მონაცემები 01.01.2013 წ. მდგომარეობით:

კომპანიას საღარიბოში აქვს 55,000 ლარი. კომპანიის საქმიანობის სფეროა წისქვილკომბინატი. პროდუქცია საწყობში -100,000 ლარის, დებიტორები 25,000 ლარი.

კომპანიამ 2012 წელს დამფუძნებლების შენატანიდან 500,000 ლარად შეიძინა წარმოებისათვის საჭირო დანადგარები, საიდანაც 150,000 ლარი ბანკიდან აღებული სესხია. სესხის პირობებია: წლიური 12 %. ვადა-12 თვე. სესხის ძირის პერიოდის ბოლოს დაფარვით.

კომპანიის საშუალო თვიური რეალიზაცია შეადგენს 200,000 ლარს, საიდანაც 20 % კონსიგნაციით იყიდება. ფასნამატი საქონელზე 40 %-ია. ხარჯები: სანკლფასე ფონდია-10,000 ლარი, კომუნალური-2,500 ლარი, სატრანსპორტო ხარჯები-2000 ლარი, საკანცელარიო-200 ლარი, სხვადასხვა ხარჯები-1,000 ლარი. საშუალოდ თვეში ბიუჯეტში (დ.დ.გ.) იხდის 3,000 ლარს.

კომპანია ყოველთვიურად საშუალოდ 70,000 ლარის საქონელს იძენს. კომპანიამ ივნისში დაამატა კიდევ ერთი დანადგარი, რაშიც მან 200,000 ლარი გადაიხადა.

ბ ა ლ ა ნ ს ი

კომპანიის დასახელება	შპს საბა		GEL	ბალანსის მუხლები		
ბალანსის მუხლები				ბალანსის მუხლები		
ა ქ ტ ი ვ ე ბ ი	1-Jan-13	1-Dec-13		ვალდებულება/კაპიტალი	1-Jan-13	1-Dec-13
საღარი	55,000	82,600		სასაქონლო კრედიტი		
საბანკო ანგარიშები	-	-		სასკლფასე დაფალიანება		
დებიტორები	25,000	65,000		სასესხო დაფალიანება	150,000	
საქონელი	100,000	53,846		გადასანდელი მოგების გადასახადი		55,717
ს უ ლ მიმდინარე აქტივები	180,000	160,457		სხვა ვალდებულება		
				ს უ ლ მოკლევადიანი ვალდებულებები	150,000	55,717
მიწა				სასესხო დაფალიანება		
მანქანა-დანადგარები	500,000	700,000		სხვა ვალდებულება		
შენობა-ნაგებობები				სხვა ვალდებულება		
არამატერიალური აქტივები				ს უ ლ გრძელვადიანი ვალდებულებები	-	-
სხვა				საწესდებო კაპიტალი		
სხვა				დამფუძნებლების შენატანი	530,000	530,000
სხვა				წინა წლის დაგროვილი მოგება/ზარალი		
სხვა				დაგროვილი მოგება/ზარალი		315,729
ს უ ლ ფიქსირებული აქტივები	500,000	700,000		ს უ ლ საკუთარი კაპიტალი	530,000	845,729
ს უ ლ აქტივები	680,000	901,446		ს უ ლ ვალდებულებები და კაპიტალი	680,000	901,446

პირველი ნაბიჯი ფინანსური მონაცემების შედგენისას ეს არის საწყისი ბალანსის შედგენა. როგორც ამოცანაშია მოცემული ფორმას აქვს 55,00 ლარი, რომელსაც ავსახავთ "საღარი"-ში, ფორმას ყავს დებიტორები 25,00 ლარი და პროდუქცია 100,000 ლარის. ფორმამ საკუთარი დანახარჯებით და ბანკის სესხით შეიძინა 500,000 ლარის ღირებულების დანადგარები, რომელსაც ვსახავთ ფიქსირებულ აქტივებში.

რაც შეეხება ვალდებულებ/კაპიტალს. ფორმას აქვს ბანკის ვალი 150,000 ლარი. და დამფუძნებლების შენატანი 530,000 ლარი.

შეგადგინოთ საბალანო ბალანსი:

ა ქ ტ ი ვ ი

1. სალარო- ფირმას 01.01.2013 წ. სალაროში ჰქონდა 55,000 ლარი. პერიოდის ბოლოს-31.12.2013 წ. მას ჰქონდა 82,600 ლარი (ინილეთ ფულადი ნაკადების მოძრაობის უწყისი საბალანო ფულადი სახსრები).
2. დებიტორები- ფირმის დებიტორული დავალიანება 01.01.2013 წ. მდგომარეობით შეადგენდა 25,000 ლარს. ფირმის რეალიზაციებმა მოგება-ზარალის მხედვით 12 თვის განმავლობაში შეადგინა 2,400,000 ლარი. ფულადმა შემოსავლებმა ფულადი ნაკადების უწყისის მხედვით შეადგინა 2,360,000 ლარი, სხვაობა 40,000 ლარი ეს არის კონსიგნაციაზე გაყიდული საქონელი. ანუ 12 თვის განმავლობაში დებიტორული დავალიანება გაიზარდა 65,000 ლარამდე.
3. საქონელი- ფირმას 01.01.2013 წ. მდგომარეობით ჰქონდა 100,000 ლარის საქონელი. 12 თვის განმავლობაში მოგება-ზარალის მხედვით გაიყიდა 1,846,154 ლარის საქონელი. ფულადი ნაკადების უწყისის მხედვით ფირმამ 12 თვის განმავლობაში შეიძინა 1,800,000 ლარის საქონელი. ანუ
 $100,000 + 1,846,154 - 1,800,000 = 53,846$

მანქანა-დანადგარები- ფირმას 01.01.2013 წ. მდგომარეობით ჰქონდა 500,000 ლარის დანადგარები. ფირმამ დამატებით იგნისში შეიძინა 200,00 ლარის დანადგარები. 31.12.2013 წ. მდგომარეობით ფირმას გააჩნდა 700,000 ლარის დანადგარები.